



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
 BODY**



**მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის**

**ოქმი N4**

ქ. მარნეული

06.02.2018 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**საკრებულოს წევრები:** - ამირან გიორგაძე, ბესიკ გელენიძე, ნოდარ მთვარელიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე, რიჩარდ გიგანი, ბესიკ გუჯეჯიანი, ზურაბ ფანგანი, ზურაბ ჭონიაშვილი, ნადირ გულიევი, დავით ხუციშვილი, რამინ ალახვერდიევი, ლევონ აკოპიანი, ალი მურადოვი, არამ კარაპეტიანი, გეიდარ მუსაევი, ნიკოლოზ მუმლაძე, აშრაფ ტუკანოვი, არსენ ახვერდიანი, როვშან ისკანდაროვი, აივაზ ისკანდაროვი, ომარ ირიშოვი, ილხამ გასანოვი, თორნიკე გოგლიძე, რაგიმ ასკეროვი.

**არ ესწრებოდა:**

მამუკა ნავერიანი, აკამედ იმამკულიევი, ვანო ბურნაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, ტარიელ მამედოვი, ჰუსეინ ჰუსეინოვი, ჯეიხუნ ჩოიდაროვი, მირკაზუმ იაგუბოვი, აზატ კარიმოვი, ადილ გურბანოვი.

**სხდომას ესწრებოდა -**

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი ბესო ნიჟარაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადელია, საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გენდერულ საკითხებში ია ესებუა.

**განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:**

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპული საქართველო– მოძრაობა თავისუფლებისათვის“ თავმჯდომარის მოადგილის შესახებ.
2. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის N63 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

3. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით ხარჯების ანაზღაურების შესახებ.
4. „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის N120 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

### **განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:**

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ რიჩარდ გიგანმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისათვის“ თავმჯდომარის განცხადება თავმჯდომარის მოადგილედ აზატ კარიმოვის დანიშვნის შესახებ, რაც საკრებულოს წევრების მიერ მიღებული იქნა ცნობად. (მიღებულია განკარგულება N5. 06.02.2018 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა, საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N8. 06.02.2018 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დადგენილების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით ხარჯების ანაზღაურების შესახებ“.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N9. 06.02.2018 წ).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა განკარგულების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის N120 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N7. 06.02.2018 წ).

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწემ ია ესებუამ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა განკარგულების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N6. 06.02.2018 წ).

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის მეოთხე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:

ამირან გიორგაძე